

A  
9596

საქართველოს მთხილებათა კადენტი  
არ. ჩირგავას სახელობის ელემენტების ინტერაცია

ზელნაწერის უფლებით

ლია ჭურაბის ასელი გულერაძე

სიახლი ადაზების ენის  
ვოლოვის ურ-ეტიმოლოგიური  
ანალიზი

10.02.01 – ქართველური ენები

ა ვ ტ რ ე ფ ე რ ა ტ 0

ვოლოვის მთხილებათა კადენტის სამეცნიერო  
სარისეის მოსამავალად ტაროლგანილი ღისერტაციისა

*J*

თბილისი  
1998

## ნაშრომის ზოგადი და დასახლის მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იზა ჩანტლაძე  
ექსპერტი — ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

ოფიციალური ოპონენტები —  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი  
ავთანდილ არაბული  
ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოკონტი მერი ნიკოლაიშვილი

წამყვანი ორგანიზაცია — თბილისის სულხან-საბა თრადიციური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა გამართება 1998 წლის 30 ივნისს, 14 საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგის მეცნიერებათა დარგის p. 10.02. c. №4 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (380008, თბილისი, ბ. ინგოროვას ქ.№8).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1998 წლის მაისს.

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი

ქ. ლიანი

ფილოლ. მეცნ. კანდ.  
ქ. დათუკიშვილი

**თემის აქტუალობა.** ანდაზების შექრება-გამოცემის საქმეს საქართველოში თითქმის სამი საუკუნის ისტორია აქვს. ყველაზე კარგადაა შესწავლილი ქართული მასალა; რაც შეეხება სვანურს, ამ ენაზე შექმნილი ანდაზები დღემდე არავის უკლევია არათულინგვისტური, არამედ ფოლკლორული თვალსაზრისითაც კი.

ჩვენი ნაშრომი პირველი ცდაა სვანური ანდაზების ენის ფონოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზისა.

**კვლევის მიზანი, ამოცანები, საგანი და ობიექტი.** გამოქვეყნებული (სოფელ ლახამულაში ჩაწერილი) სვანური ანდაზების შედარება ჩვენ მიერ მესტიაში, ლენჯერსა და მულახში ფიქსირებულ მონაცემებთან და ამ გზით ფონოლოგიური თუ ლექსიკური თავისებურებების აღწერა.

**ძირითადი შედეგები.** ანდაზების ენის შესწავლის საფუძვლზე გამოვლენილია ის მასალა, რაც საერთოა სვანური ანდაზებისათვის — ე.ი. ინტერდიალექტური ერთეული, რასთან შეპირისპირებისას ცალკე გამოიყოფა დიალექტური თუ კილოკაური მახასიათებლები, აგრეთვე ის არასული ვითარებაც, რაც თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში აღარ დასტურდება. დისერტაციაში წარმოდგენილია არაერთი ახალი ეტიმოლოგია.

ნაშრომში განხილული საკითხები დახმარებას გაუწევს ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკისა და სვანური ენის ფონემატურ-მორფოლოგიური სტრუქტურის შესწავლელ სპეციალისტებს, აგრეთვე, ყველა დაინტერესებულ ბირს, ვინც იყვლეს სვანეთის ისტორიას, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორს.

**ნაშრომის პრობაცია.** ნაშრომი შესრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში. აქვე შედგა მისი განხილვა და პრობაცია. ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენებების სახით წაკითხული იყო სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებზე 1993-1997 წლებში (თეზისები დაბეჭიდილია). გამოქვეყნებულია სამი სტატია.

**მეცნიერული სიახლეები.** ნაშრომში ხაზგასმულია კოინციროლი სვანურ ანდაზებში, გ და ჲ ფონემათა დისტრიბუციისა და რ/ჟ ხმოვანთა დეუმლაუტიზაციის წესები ზოგჯერ სრულიად ახ-